კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2024 წელი

ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა

0413.2.2

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 02-2024

18 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 02-2024

18 აპრილი, 2024 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

ფართო სფერო
ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

ვიწრო სფერო
ბიზნესი და ადმინისტრირება

დეტალური სფერო
მენეჯმენტი და ადმინისტრირება

სწავლის სფერო
საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სწავლის ხანგრძლივობა
სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა 4 სემესტრი (2 სასწავლო წელი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
120 ECTS კრედიტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში
MBA in International Business Management

სწავლების ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის ხელმძღვანელი
თეა კასრაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდას.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

თუ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველი ვერ წარმოადგენს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ სერთიფიკატს, იგი ვალდებულია ტესტირება გაიაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში.

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთაასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org).

B 2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა:

ტოიფელი (TOEFL PBT) ქულათა ოდენობა:არანაკლებ 513 ქულა;

ტოიფელი (TOEFL IBT) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა;

ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა;

ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები

(Cambridge Exam)ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

სტუდენტს მისცეს გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის თანამედროვე ტენდენციების შესახებ ღრმა, უახლეს მიღწევებსა და მიდგომებზე დაფუძნებული ცოდნა, რომელიც დაეხმარება მას შეაბიჯოს სწრაფად განვითარებადი გლობალური ბიზნესის სამყაროში.

განუვითაროს თანამედროვე გლობალური ბიზნესისათვის სასიცოცხლოდ საჭირო ბიზნეს-პროცესების მართვის უნარები და კომპეტენციები, რომლებიც დაეხმარება დასაქმდეს გლობალურ სამუშაო ბაზარზე როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვრებს მიღმა.

სწავლის შედეგები

დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელების საფუძველზე პროგრამა შესაძლებლობას იძლევა კურსდამთავრებულებმა შეიძინონ კომპეტენციები, რაც განსაზღვრულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოთი და კონკრეტული დარგობრივი დოკუმენტებით. ამ კომპეტენციების მეშვეობით კურსდამთავრებულები წარმატებით დასაქმდებიან ეროვნულ და საერთაშორისო ბიზნეს-ორგანიზაციებში, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში საშუალო და მაღალი რანგის მენეჯერებად. მათ, აგრეთვე, შეეძლებათ შექმნან და მართონ საკუთარი ბიზნესი, აწარმოონ კვლევები, ტრენინგები და მმართველობითი კონსალტინგი.

პროგრამის გავლის შედეგად მაგისტრი მომზადებული იქნება დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ახდენს საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერისთვის საჭირო ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას ბიზნესის მართვის თანამედროვე კონცეფციებში, სტრატეგიულ

მენეჯმენტში, ადამიანური რესურსების მართვაში, მარკეტინგში, ფინანსებსა და საერთაშორისო ბიზნესის სხვა ფუნქციონალურ სფეროებში/დისციპლინებში;

- კრიტიკულად მიმოიხილავს გლობალურ ბიზნეს ლანდშაფტს და ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღებაზე საერთაშორისო ფირმებში მათ მშობლიურ და მასპინძელ ქვეყნებში;
- სიღრმისეულად განსაზღვრავს გლობალური ბიზნესის რისკების სახეებს, თავისებურებებს და მათი შემცირებისა და თავიდან აცილების შესაძლებლობებს.

უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ახდენს საერთაშორისო ბიზნესის შესახებ შესაბამისი მონაცემების მოძიებას, გენერირებას, ანალიზს, ინტერპრეტაციას და კრიტიკულ შეფასებასა;
- შემთხვევებზე დაფუძნებული თეორიული ცოდნის გამოყენებით აფასებს შიდა და გლობალური ბაზრების შესაძლებლობებს, აანალიზებს არსებულ/ჰიპოთეტურ პრობლემებსა და ტენდენციებს, კვეთავს კანონზომიერებებს და იღებს სწორ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განაპირობებენ ორგანიზაციის წარმატებას;
- ახდენს საერთაშორისო ბიზნესის შიდა და გარე გამოწვევების და რისკების იდენტიფიცირება-შეფასებას და ინოვაციური, შემოქმედებითი მიდგომებით გეგმავს და ახორციელებს საპასუხო ცვლილებებს;
- აანალიზებს საერთაშორისო ბიზნესის ცალკეულ საკითხებს და რთულ ბიზნეს სცენარებს და იდეების, თეორიებისა და მონაცემების სინთეზის გზით სახავს მოქმედების სტრატეგიებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგიის და მეთოდების შერჩევითა და გამოყენებით, დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას და ახდენს კვლევის დასაბუთებული შედეგების და რეკომენდაციების წერილობით ან/და ზეპირ წარდგენას როგორც აკადემიური, ისე ბიზნეს წრეებისა და სხვა დაინტერესებული საზოგადოებისთვის;
- იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სამაგისტრო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია გულისხმობს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფენ მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების მიღწევას და კვლევის უნარის ჩამოყალიბებას.

სასწავლო პროცესში გამოიყენება:

ვეერბალური მეთოდი,

დისკუსია-დებატები,

ჯგუფური (collaborative) მუშაობა,

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL),

შემთხვევის ანალიზი (Case study),

როლური და სიტუაციური თამაშები,

დემონსტრირების მეთოდები,

ინდუქცია,

დედუქცია,

ანალიზი და სინთეზი,

ახსნა-განმარტებითი მეთოდი,

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება,

ელექტრონული სწავლება

და სხვა;

მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცების და პრაქტიკულ გარემოში დახვეწის მიზნით მაგისტრანტები გადიან პრაქტიკას, სადაც მათ საშუალება აქვთ რეალურ გარემოში დახვეწონ საკუთარი კომპეტენციები, ისწავლონ ახალ, გაუთვალისწინებელ პირობებში მოქმედება, სამუშაოს შესრულებისასპრობლემებისგადაჭრის ორიგინალური გზების და ინოვაციური მეთოდების გამოყენება, თეორიული ცოდნის კონკრეტულ პრაქტიკულ სამუშაოსთან მისადაგება, სამუშაო ჯგუფში კოორდინირებული და ინდივიდუალური მუშაობა, გადაწყვეტილების მიღება, შესრულებული სამუშაოს თვითკრიტიკა, ანალიზი და შეიძინონ პრაქტიკული მუშაობის უნარები. შესაბამისად, გამოყენებული მეთოდები მიმართულია ამ უნარების ჩამოყალიბებაზე.

სწავლისას გამოყენებული მეთოდები მაქსიმალურადაა მიმართული მაგისტრანტის კვლევის უნარის ჩამოყალიბებაზე. ამ უნარის განვითარების მიზნით მაგისტრანტები ამზადებენ მცირე მოცულობის კვლევითი ხასიათის პრეზენტაციას (სასწავლო კურსების ფორმატში), კვლევით პროექტს/ნაშრომს და სამაგისტრო ნაშრომს, რა დროსაც ისინი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ეჩვევიან ნაშრომის მიზნების დასახვას, მათი მიღწევის გზების განსაზღვრას და ადეკვატური მეთოდების ძიებასა და გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვას, თანმიმდევრულ ეტაპებად რაციონალურ დაყოფას და დროის ორგანიზებას; ელექტრონულ ფორმატში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიური გამოყენებით უახლესი ინფორმაციის, რელევანტური ლიტერატურისა და თანამედროვე მონაცემების მოპოვებას, მოძიებული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზსა და ინოვაციურ სინთეზს; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიებას, კვლევის უახლესი მეთოდების და ინოვაციების გათვალისწინებას; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას; საკუთარი სამუშაოს კრიტიკულ ანალიზსა და ობიექტურ შეფასებას; არგუმენტირებული კრიტიკის გათვალისწინებას და საკუთარი კომპეტენციის თვითპრეზენტაციას. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო ჯგუფის თავისებურებებიდან, ხოლო კვლევითი პროექტის/ნაშრომის და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას - კვლევის სპეციფიკიდან და მაგისტრანტის ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

სწავლებისას გამოყენებული მეთოდების სწორი შერჩევა და მათი კომბინირება მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, მაგისტრანტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე, შემეცნებითი და კვლევითი საქმიანობის სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში მაგისტრანტთა აქტიურ მონაწილეობაზე, რაც უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის შედეგების - საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კომპეტენციების მიღწევას.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა - სემინარები
- პრაქტიკა
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა
- დამოუკიდებელი მუშაობა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შემენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისთვის გამოიყენება როგორც ზეპირი ასევე წერითი (ტესტი, ქეისების განხილვა და ანალიზი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა. ცალკეული სასწავლო კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების ან ბიზნეს–პროექტების მომზადებას და მის პრეზენტაციას.

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.
საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, ფორმები და კრიტერიუმები განისაზღვრება **უნივერსიტეტის კანცლერის 2014 წლის 27 მარტის #01-36 ბრძანებით დამტკიცებული „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების“ შესაბამისად (იხ. www. ciu.edu.ge).**

პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და **„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.**

განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება, ისევე როგორც სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონეტის შეფასება უნივერსიტეტში წარმოებს 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება.

შუასემესტრული შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ შეფასებებს, რომელიც ჯამში მაქსიმუმ 40 ქულის ტოლია და შუალედური გამოცდის შეფასებას, რომელიც მაქსიმუმ 20 ქულიანია;

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედურ შეფასებებში 30 ქულაა.

რაც შეეხება დასკვნით გამოცდას, მისი მაქსიმალური შეფასება 40 ქულაა ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულის ტოლია.

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასება შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებებით, 51 ქულის ტოლია.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების შემდეგი სისტემით.**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესს, ის ფასდება ერთჯერადად, კომისიის წინაშე სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი მიიღებს სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულ 30 კრედიტს და მიენიჭება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია.

აკადემიური ხარისხის/ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტისსამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.**

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში** და ეძლევა შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის დაგროვება.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის სასწავლო

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი შემდეგი ხარისხის სახელმწიფო ნიმუშის დიპლომს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად:

- **წარჩინების დიპლომი - GPA 3.5** და მეტი კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;
- **ჩვეულებრივი დიპლომი - ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები.**

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელების უფლება აქვს სხვა მიმართულების სადოქტორო პროგრამაზეც, თუ უნივერსიტეტს რაიმე შეზღუდვა არა აქვს დაწესებული პროგრამაზე მიღების წინაპირობით.

დასაქმების სფერო

პროგრამის დასრულების შემდეგ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სპეციალობით შეუძლია დასაქმდეს:

- ეროვნულ და საერთაშორისო ბიზნეს-ორგანიზაციებში, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში მაღალი რანგის მენეჯერად;
- ეროვნულ და საერთაშორისო ბიზნეს-ორგანიზაციების (ტრანსნაციონალური კომპანიები, კორპორაციები, საწარმოო და მომსახურების ფირმები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, უნივერსიტეტები და სხვ.) ადმინისტრაციაში დაიკავოს მაღალი მმართველობითი პოზიციები;
- სათანადო ორგანიზაციებში აწარმოოს კვლევები, ტრენინგები და მმართველობითი კონსალტინგი;
- შექმნას საკუთარი ბიზნესი (მათ შორის, საერთაშორისო საწარმო) და წარმართოს მისი საქმიანობა.

პროგრამის სტრუქტურა

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება თეორიული კომპონენტის (A), პრაქტიკული კომპონენტის (B) და კვლევითი კომპონენტისგან (C).

სამაგისტრო პროგრამის ელემენტები (120 ECTS)

(A) **თეორიული კომპონენტი- 74 ECTS**

(B) **პრაქტიკული კომპონენტი - 10 ECTS**

(C) **კვლევითი კომპონენტი- 36 ECTS**

სასწავლო კურსი	კომპეტენციათა რუქა		
	ცოდნა და გაცნობიერება	უნარები	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
საერთაშორისო ეკონომიკა და ბიზნესი	X	X	X
მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	X	X	X
საქმიანი კომუნიკაციები საერთაშორისო ბიზნესში (ინგლისურ ენაზე)	X	X	X
საერთაშორისო ბიზნესის ფინანსები	X	X	X
საერთაშორისო მარკეტინგი	X	X	X
გლობალური მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი	X	X	X
საერთაშორისო ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	X	X	X
საერთაშორისო პროექტების მენეჯმენტი	X	X	X
რისკების მართვა გლობალურ ბიზნესში	X	X	X
გლობალური სტრატეგიული მენეჯმენტი	X	X	X

ცვლილებების მენეჯმენტი საერთაშორისო ბიზნესში	X	X	X
საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება	X	X	X
პრაქტიკა	X	X	X
აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის	X	X	
კვლევის მეთოდები საერთაშორისო ბიზნესში	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და სამაგისტრო ნაშრომის დაცვა	X	X	X
გლობალური მეწარმეობა	X	X	
ევროკავშირის ეკონომიკა და ბიზნეს-გარემო	X	X	X
ეთიკა და პასუხისმგებლიანი ბიზნესი გლობალურ გარემოში	X	X	
ინვესტიციები და საერთაშორისო ვაჭრობა	X	X	X
ინოვაციების მენეჯმენტი საერთაშორისო ბიზნესში	X	X	
კულტურათაშორისი მენეჯმენტი	X	X	X
საერთაშორისო მარკეტინგის მენეჯმენტი	X	X	X
ფინანსური მენეჯმენტი	X	X	X
ციფრული მარკეტინგი და ელექტრონული კომერცია	X	X	X

CIU
+ ქაოსისა საერთაშორისო უნივერსიტეტი +
+ CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY +